ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის

სადოქტორო პროგრამა:

გეომორფოლოგია და კარტოგრაფია

მარიამ შანავა

დოქტორანტის სემინარი 1

გორდი-კინჩხის ტურისტული განვითარების პერსპექტივები

ხელმძღვანელი: პროფესორი დალი მიქაუტაძე

თბილისი 2025

ანოტაცია

გორდი და კინჩხა ისტორიული ეგრისის მაღალმთიანი სოფლებია. დღეს ორივე მათგანი იმერეთის რეგიონის დასახლებული პუნქტებია 470 კაციანი მოსახლეობით. გორდის კლიმატი მიახლოებულია სამთო–კლიმატური კურორტების სტანდარტებთან, ამიტომ ის XX საუკუნეში დიდი პოპულარობით სარგებლობდა რეკრეანტ–დამსვენებლებში. გასული საუკუნის 90–იან წლებში ქვეყნის არასტაბილური მდგომარეობის გამო სოფელი თითქმის დაიცალა, მოიშალა ინფრასტრუქტურა, დაიწყო მოსახლეობის მასიური მიგრაციები.

საკვლევი რეგიონიდან დაცული ტერიტორიების ნუსხაში შეტანილ იქნა ბუნების 2 ძეგლი – ოკაცეს კანიონი და კინჩხას ჩანჩქერები. 2011 წლიდან დაიწყო ოკაცეს კანიონის მშენებლობა, რომელმაც პირველი ვიზიტორები მიიღო 2014 წელს, აქედან მოყოლებული ყოველწლიურად იზრდება ვიზიტორთა რაოდენობა და სტატისტიკის თანახმად, დაცული ტერიტორიების მონახულების რაოდენობით ეს ობიექტი მე–5 ადგილს იკავებს. 2018 წელს დამთავრდა კინჩხის ჩანჩქერებთან მისასვლელი გზების ინფრასტრუქტურული მოწყობა და 2019 წელს მას 22 000 – ზე მეტი ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორი ეწვია. ვიზიტორების ნაწილი რამდენიმე დღით ჩერდება. რამაც ხელი შეუწყო საოჯახო სასტუმროების შექმნას. გაჩნდა მოთხოვნა ადგილობრივ რძესა და სხვა მრავალ პროდუქტზე. შეიქმნა საცხენოსნო ტურები. ადგილობრივმა მოსახლეობამ დაიწყო ცხენების მოშენება და გაქირავება. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ავტოტრანსპორტით მომსახურეობაც. ყველაფერმა ზემოაღნიშნულმა ხელი შეუწყო ადგილობრივი მოსახლეობის უკან დაბრუნებას, სასოფლო საქმიანობის განახლებას, ტურისტულ მომსახურეობაში ჩაბმას და სასოფლო ტურიზმის განვითარებას.

კვლევის მიზანია სტატისტიკური მასალის შედარებითი ანალიზის საფუძველზე დავადგინოთ რეგიონში არსებული ბუნების ძეგლების როლი ადგილობრივი ტურიზმის განვითარებაში.